გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №83

2023 წლის 15 მაისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე (შოთა რუსთაველის ქუჩის და ილია ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან, ეკლესიის მიმდებარედ) ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, შოთა რუსთაველის ქუჩის მონაკვეთი, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან აკაკი წერეთლის ქუჩამდე წამოადგენს სიგანეში ვიწრო მონაკვეთს, ქუჩის ორივე მხარეს ავტოტრანსპორტის პარკირება ხელს უშლის ავტოტრანსპორტის მოძრაობას, აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე (შოთა რუსთაველის ქუჩის და ილია ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან, ეკლესიის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე (შოთა რუსთაველის ქუჩის და ილია ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან, ეკლესიის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქალაქ გორში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე (შოთა რუსთაველის ქუჩის და ილია ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან, ეკლესიის მიმდებარედ) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**